№ 178 აგვისტო 20, პარასკევი 1893 აგვისტო 20, პარასკევი № 178

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ი ვ ე რ ი ა"

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში ამ ჟამად იატაკსა სცვლიან და ეკკლესიაში დასაფლავებულთა საფლავების ქვები აყრილ იქმნება. ამიტომ სთხოვენ მიცვალებულთა პატრონთ, მარმარილოს ქვები წარადგინონ ზედ წარწერით, უბრალო ქვების მაგივრად. (3—3)

ტფილისი, 19 აგვისტო

გერმანიასა და რუსეთ შორის ატეხილმა საბაჟო ომმა უკვე მოიტანა თავისი მწარე ნაყოფი. სულ ორი-სამი კვირაა, რაც ეს საშინელი ეკონომიური ომი ასტყდა და მწერლობამ აღარ იცის, რა ჰქმნას, რა მოაგვაროს, როგორ აიცილოს თავიდამ მისი მრისხანე და დამღუპველი შედეგი. ჟურნალ-გაზეთობას პირზე მარტო საბაჟო ომი აკერია, სხვა შინაურ და საგარეო საქმეთათვის ვეღარ მოუცლია, თავს არიდებს და გაკვრითაც-კი აღარ ლაპარაკობს. ასე გასინჯეთ, ბასრ-კლანჭებიან ხოლერასაც-კი აღარ აქცევენ ყურადღებას, თუმცა ეს უმზგავსი სტუმარი შარშანდელზე ნაკლებ არა მუსრავს რუსეთის მკვიდრსა. მარტო პოდოლის გუბერნიაში ავად გამხდარა ორი კვირის განმავლობაში ხოლერით 1178 გაცი და გარდაცვლილა 423. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს უბედურება არავის აღონებს, მხოლოდ საბაჟო ომი და გერმანიის საზღვრის დაკეტვა გახდა ყოველ მამულიშვილისთვის საზრუნავ-საფიქრებელი და დამაღონებელი.

ან-კი რას იზამ, რომ არ დაღონდები. პური და საზოგადოთ ხორბალია რუსეთის სიმდიდრის ერთად-ერთი დაუშრეტელი წყარო, მითი იდგამს სულსა, იცვამს, იხურამს და იხდის მრავალ-გვარ ხარჯსა: სახელმწიფოსა, საეროსა, საქალაქოსა, იჯარისა და სხვა. 1890 წ. რუსეთმა გერმანიაში შეიტანა 416 მილიონი ფუთი, ღირებული 338 მილონი მანათად. სამ ზედი-ზედ დიდ მოსავლიან წელს 1887, 1888 და 1889 რუსეთი ექვსას მილიონ ფუთზე მეტსა ჰყიდდა გერმანიაზე ყოველ წლივ. ასე გასინჯეთ, მოუსავლიან წლებში, როდესაც შინ შიმშილით კუჭი უხმებოდათ, მრავლად გაიტანა ბაზარში რუსეთმა ხორბალი: 1891 წელს 389 მილიონი და 1892 წ. 195$^1/_2$ მილიონი ფუთი.

მწერლობაზე ნაკლებ მთავრობა არა ზრუნავს, რომ პურის ფასმა არ დაიწიოს და მით არ დაიღუპოს სულით-ხორცამდე მიწად მომქმედი. წელს რუსეთში უხვი მოსავალია, სულ ცოტა ხუთას მილიონ ფუთს გაიტანდა რუსეთი გასასყიდად. სად წაიღოს რუსეთმა ამოდენა მოსავალი, სად გადაჰყაროს, როგორ მოაწყოს საქმე, რომ პურის ფასი არ დაეცეს, არ დაზარალდეს მხვნელ-მთესველი? საქმის ვითარება მერე ეხლა, ამ შემოდგომაზე, ერთი-ორად მწვავდება, რადგან ფული მომეტებულად სწორედ ამ დროსაა საჭირო. დიდ მემამულეს ბანკში აქვს შესატანი, გლეხს სახელმწიფო ხარჯი აქვს გასასტუმრებელი. წარსულ კვირას კიევს შეიკრიფა 200-მდე მემამულე და გადასწყვიტეს მოახსენონ თავიანთი გაჭირვება იქ მიბძანებულ სახელმწიფო ქონებათა და ხვნა-თესვის მინისტრს ა. ს. ერმოლოვს, რომელმაც ყურადღებით მოისმინა მათი საჩივარი და დაჰპირდა, ყველაფერს ვიღონებთ, რაც-კი შეიძლება კრიზისის ასაცილებლადო.

კერძო მემამულეთა უთხოვნელადაც მთავრობა კარგადა ჰხედავს, რა გაჭირვებაში ჩააგდო ერი საბაჟო ომმა და სცდილობს ხვედრი შეუმსუბუქოს მკვიდრთ და თითონაც არ იზარალოს. ამისთვის დაარსდა კომისია ფინანსთა მინისტრის ამხანავის ანტონოვიჩის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა იღონოს რამე, რომ პურის ფასმა არ დაიწიოს. ბ-ნი ანტონოვიჩი ეხლახან დაინიშნა მინისტრის თანაშემწედ, წინად კიევის უნივერსიტეტის პროფესორად იყო და ცნობილია როგორც დახელოვნებული პოლიტიკო-ეკონომი. ბ-ნმა ანტონოვიჩმა მოიწვია კომისიაში მრავალნი სახაზინო პალატათა გამგებელნი, საერო გამგეობათა თავმჯდომარენი, პურის მოვაჭრენი და მცოდნე კაცნი. კომისიას ჯერ-ჯერობით ერთი კრება ჰქონდა და სხვათა შორის დაუდგენია: გაუადვილოს ფულის სესხი როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო ბანკებიდან იმ პირობით, რომ ბანკებმა გირაოდ მიიღონ მოსავალი, დააცადონ დაგირავებულ მამულის პატრონთ ხვედრ ფულის შეტანა ბანკებში, შეუმსუბუქონ და დააცალონ აგრეთვე დროებით გლეხებს ხარჯის შეტანა, შეივსოს დაცარიელებული სოფლის პურის მაღაზიები, ნება მიეცეთ გლეხებს საერო გადასახადი შეიტანონ პურით და სხვ.

გაზეთები ლაპარაკობენ კიდევ, ვითომ უმთავრეს საინტენდანტო გამგეობას სურს იყიდოს პირდაპირ მხვნელ-მთესველთაგან ოცდა-ათი მილიონი ფუთი ჯარის გამოსაკვებადო. რა თქმა უნდა, მთავრობის მზრუნველობა უმნიშვნელოდ არ ჩაივლის, მაგრამ ზემოდ ჩამოთვლილი ღონისძიებანი გაჭირვებას თავიდან ვერ მოაშორებს რუსეთს. ვსთქვათ, ერობას გლეხობამ ხარჯი პურით მისცა. ჯერ ეს ერთი, ამოდენა პურს სად შეინახამს ერობა. მეორე, მასწავლებელს, ექიმს ჯამაგირი ფულად უნდა აძლიონ, როგორ და საიდან გააჩენენ ფულს? ან თვით გლეხი საიდგან იშოვის ფულს შინაურ საჭიროების გასასტუმრებლად, ქალამნები, მარილი, სანათი ხომ უნდა იყიდოს. უფრო მოუხერხებელია ფულის სესხება ბანკიდამ იმ წესით, როგორც კომისიას განუზრახავს. ხორბალი ცნობაში უნდა მოიყვანოს ბანკის აგენტმა, ამის შემდეგ ბეღელს დაბეჭდავს და შემდეგ ფულს გაასესხებენ. მერე სადაა უცბად იმდენი აგენტები, რომ ყველას მოთხოვნილება დააკმაყოფილონ, ან იმოდენა ჭურჭელი, რომ აუარებელი პური დიდის ხნით შეინახონ?

ცხადია, ვერც ერთი ზემოდ დასახელებული ღონე კრიზისს თავიდან ვერ ააცდენს რუსეთს. ერთად ერთი საშუალება სასურველი და მართლაც მარგებელი—საბაჟო ომის მოსპობაა და რაც მალე მოხდება მით, უფრო სახეირო იქმნება.

რუსეთზე ნაკლებ არც გერმანია შეაწუხა საბაჟო ომმა. მრავალი ფაბრიკა დაიკეტა, მრავალი მოვაჭრე გაკოტრდა, მრავალი მუშა უსაქმოდ დარჩა და დაიღუპა. გამოსაცნობად ძნელი მხოლოდ ისაა, ვინ პირველი მოიხრის თავს, ნივთიერად ღონიერი გერმანია, თუ რუსეთი.

ისკანდერ

◆

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

აგვისტოს 18-ს, დილით, მიხეილის საავადმყოფოში სულ ხუთი ხოლერით ავადმყოფი იყო.

ოთხშაბათს, აგვისტოს 18, ტფილის'ში ხოლერით ავად გახდა კიდევ ექვსი კაცი და იმავე დღეს ოთხი გარდაიცვალა.

მიხეილის საავადმყოფოში მოიყვანეს ოთხი ხოლერით ავადმყოფი: 1) პოლიციის მერვე ნაწილიდგან ეჩმიაძინის მაზრის მცხოვრებელი დანანა აკოფოვისა, თავის ექვსის წლის შვილით 2) ამბარცუმ აკოფოვითურთ, რომელიცა სცხოვრობდა პანასევიჩის ქუჩაზე, არაქელოვის სახლში. დანანა აკოფოვისა წინა დღეს გამხდარა ხოლერით ავად, ხოლო შვილი-კი ამ თვის 18 ს. 3) პოლიციის მეხუთე ნაწილიდგან ტატო აზიზიშვილი, (ბაგრატიონის ქუჩა, მალალაშვილის სახლი № 9) და 4) პოლიციის მეცხრე ნაწილიდგან დანიელ მელენტიევი, (მიხეილის ქუჩა, სახლი № 44).

ამათ გარდა მიხეილის საავადმყოფოში მესამე პალატაში ხოლერით ავად გახდა პავლე ანდრეევი, რომელიც კარგა ხანია სტომაქით იყო ავად. ანდრეევი მაშინვე გადიყვანეს ხოლერით ავადმყოფთა განყოფილებაში, სადაც იმავე დღეს გარდაიცვალა.

აგვისტოს 18 მიხეილის საავადმყოფოში, პეტრე ანდრეევის გარდა,

ფელეტონი

სიტყვა,

თქმული სააზნაურო სკოლის საზოგადოების წლიურ კრებაზედ 30 აპრილს 1893 წელსა

(შემდეგი *)

იქნება ბევრმა ქართველმა გაათაოს გიმნაზია და ამ სარგებლობამ შეავსოს ყოველი სხვა ზიანი? მივმართოთ განათლების მინისტრის წლიურს ანგარიშებს და ვცნათ, რამდენი ასრულებს იმპერიაში კლასიკურს გიმნაზიასა? ეს ანგარიშები ჰმოწმებენ უტყუარს ფაქტსა, ძლიერ სამწუხაროსა და მეტად საგულისხმიეროსა. თურმე ნუ იტყვით—ასს გიმნაზიელში სრულს კურსს გიმნაზიისას ასრულებს შუაგულს რუსეთში მხოლოდ ხუთიდგან შვიდამდე, და განაპირა ქვეყნებში ორიდგან ოთხამდე. ასე რომ გიმნაზიები წარმოადგენენ მდინარეებსა, რომელთაც თავისი ვეებერთელა წყლიდგან მხოლოდ რამდენიმე ცვარი შეაქვთ ზღვაში. ადვილი მისახდომია, რად ასრულებს შიდა რუსეთში თითქმის ერთი-ორად მეტი, ვიდრე განაპირა პროვინციებში. ეს განსხვავება იმაზედ არის დამოკიდებული, რომ რუსები უფრო ადვილად იტანენ ტვირთს ძველის ენების სწავლებისას, რადგანაც სკოლის ენა მათი დედა-ენაა, და სხვა ტომთა მოწაფენი-კი იძულებულნი არიან უცხო ენაზედ ისმინონ სწავლა, რის გამოც საქმე მათთვის ერთი-ორად უფრო ძნელდება. სადამდის დიდია ეს უკანასკნელი დაბრკოლება, გვიჩვენებს პოლშის მაგალითი. თუმცა პოლშელები ძლიერ ნიჭიერნი არიან, ოჯახობა მოწყობილი აქვთ განათლებულად, კულტურულად და თუმცა მათი ენა ღვიძლი ძმაა რუსულის ენისა, მაგრამ მაინც რუსულს ენაზედ სწავლება იმათთვისაც ისეთი ძნელია, რომ საცა ორი რუსი ასრულებს კურსსა, იქ მხოლოდ ერთი პოლშელი ეღირსება ამ ბედნიერებას...

რაც უნდა კარგად მოვაწყოთ ჩვენი გიმნაზია და რაც უნდა მარჯვედ ვაწარმოვოთ იგი, ასში ოთხის მეტს ვერ დავასრულებინებთ. უკეთესს ნაყოფს თითქმის შეუძლებლად ხდიან შემდეგი გარემოებანი: ქართული ოჯახი დაბალს ხარისხზედ დგას და სკოლაში შესვლამდის ბავშვი ცუდუბრალოდ ატარებს მთელს შვიდსა და რვა წელსა. ჩვენს ენას არავითარი მსგავსება და კავშირი არა აქვს არც ბერძნულ-ლათინურთან, რომელთაც უმთავრესი ადგილი უჭირავთ გიმნაზიის კურსში, და არც რუსულს ენასთან, რომელზედაც მომართულია მთელი სწავლა. ამ სახით გიმნაზიის დასაწყისში რომ ასი მოწაფე გვყავდეს, ბოლოში უწევს მხოლოდ ოთხი, ისიც საუკეთესო შემთხვევაში, უწევს დაქანცულ-დაღალული. ოთხმოც-და-თექვსმეტს-კი დაიშრობს სახარა კლასიციზმისა, ესე იგი ზოგი პირველი კლასებიდგანვე გეექცევა ძველს ენებსა, ზოგი შუა კლასებიდგან და ზოგიც უმფროს კლასებიდგან. ეს ამოდენა გაქცეული ჯარი რა ავლა-დიდებას წაიღებს თანა? მთავარი მისი გონებრივი ქონება იქმნება ნაფლეთები ძველი ენების გრამატიკებისა. რისთვის იქმნება გამზადებული? მხოლოდ იმისთვის, რასაც გურული ფირალები ემსახურებიან.

მაშ რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?..

ზურგი უნდა შევაქციოთ ტყუილს ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტის ცოდნისას. ხოლო ამ გვარს ცოდნას იძლევა ესრედ წოდებული რეალური სისტემა განათლებისა. ამ სისტემას ყველა უპირატესობა აქვს კლასიკურ სისტემის წინაშე. პირველად, რეალური სისტემა იმ ფორმალურს განვითარებასაც ანიჭებს მოწაფეს, რომლითაც შეადგენს ერთად-ერთს ღირსებას კლასიკურის სისტემისას, და, ამას გარდა, ნამდვილ ცოდნითაც ამდიდრებს. ამას აღიარებენ ახლა საუკეთესო პედაგოგები, მათ შორის დიდი პედაგოგი რუსეთისა უშინსკი, და დაწინაურებული ექიმები. მეორედ, თუმცა რეალური სისტემა ათვალ-

---

*) იხ. «ივერია», № 177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიც სხვა ხოლერით ავადმყოფთაგანი გარდაიცვალა: ტატო აზიზიშვილი და დანანა აკოფოვისა.

19 აგვისტოს, დილით, მიხეილის საავადმყთფოში ხოლერით ავადმყოფი იყო: კონსტანტინე მაჭავარიანი, ტიგრან ტიგრანოვი, მარიამ სეგალი, ზინაიდა ფატეევისა. ოვსო ხაზაროვისა, ამბარცუმ აკოფოვი და დანიელ დემენტიევი.

რკინის გზის საავადმყოფოში ხოლერით ავადმყოფი სვიმონ ტარასოვი, რომელიც ამ თთვის 17 გახდა ავად, რჩება.

რჩება აგრედვე ხოლერით ავადმყოფი ნინა ხალათოვისა, რომელიც სცხოვრობს ავლაბარში და რომელსაც თავის სახლში სწამლობენ.

ნავთლუღის სამხედრო საავადმყოფოში აგვისტოს 17 ორი ხოლერით ავადმყოფი მოიყვანეს; ამათში გარდაიცვალა ავარის სარეზერვო ბათალიონის პოდპორუჩიკი ივანე ივანეს ძე ტოლმაჩოვი, 22 წლისა, რომელიც ტფილისში ჩამოვიდა ორის თთვის წინად და ავლაბარში სცხოვრობდა, ბენსკის ქუჩაზე, კურაკატოვის სახლში № 11. მეორე-კი ჯარის-კაცია კავკავის პოლკისა, ისაი მარტინენკო.

აგვისტოს 18-ს სამხედრო საავადმყოფოში მიიყვანეს ხოლერით ავად მყოფი ჯარის კაცის ქვრივი პარასკევა პოლიანსკაიასი.

გუშინ დილით სამხედრო საავადმყოფოში ხუთი ხოლერით ავადმყოფი იყო.

აგვისტოს 19-ს, დილით, ტფილისში სულ თოთხმეტი კაცი იყო ხოლერით ავად.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის მაზრის უფროსმა მიჰმართა გუბერნატორსა და სთხოვა, მიბოძეთ სადეზინფექციო წამლები და 2,000 მანათი, რათა ყოველ გვარი ღონისძიება ვიხმარო, რომ ხოლერა ტფილისის მაზრის სოფლებში არ გადავიდესო.

⁂ საუფლისწულო მამულების მთავარ-გამგეობის უფროსი თ. ლ. დ. ვიაზემსკი პეტერბურგიდგან გაემგზავრა სამარას გუბერნიაში საუფლისწულო მამულების დასათვალიერებლად და იქედგან წავა ყირიმში და მერე ბათუმის ოლქში, სადაც უნდა დაათვალიეროს ჩაყვას აგარაკი, რომელიც ბათუმიდგან 10—15 ვერსზეა. ამ აგარაკში თურმე ისეთი ჰავა და ნიადაგია, რომელიც ძლიერ შეუწყობს ხელსა ჩაის ბუჩქების გაშენებას და ამიტომ საუფლისწულო მამულების გამგეობას განზრახვა აქვს ეს ადგილი შეიძინოს და ჩაი გააშენოს. მომავალ წლის დამდეგს გაიგზავნება ექსპედიცია ჩინეთსა, იაპონიასა, ინდოეთსა და აგრედვე კუნძულებ ცეილონსა და იავაზედ. ექსპედიციამ იქ ადგილობრივ უნდა შეისწავლოს ჩაის მოშენების საქმე და თანაც იქიდგან მოიტანოს ჩაის ბუჩქები და მოიყვანოს დახელოვნებულნი მუშები ჩინეთსა და იაპონიიდგან. ჩაყვას აგარაკს თ. ვიაზემსკი სექტემბრის დამლევს დაათვალიერებს.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისში შემდგარა ერთი ახალი ქართველთა ამხანაგობა, სახელად «შუამავალი». ამ ამხანაგობას აზრადა აქვს გასწიოს წესიერი შუამავლობა მწარმოებელთა და მომხმარებელთ შორის. წესდება უკვე დაბეჭდილია.

⁂ ტფილისის სამკურნალოს სამმართველოს ცნობები მოუვიდა, რომ ყარსში ამ ჟამად ძლიერ გავრცელებულია კუჭის ავადმყოფობა და ამიტომ იქ სრულიად აკრძალეს ყოველ გვარ ხილის გაყიდვაო.

⁂ იქმნება მკითხველთ ახსოვდეთ, რომ შარშან ტფილისში ახალ გოლანდიის ერთმა მამულის პატრონმა ვაჰანიანცმა უჩივლა მის ადგილზედ დასახლებულთ, ადგილი დამიცალეთო. ამ ჟამად ეს საქმე უკვე გათავდა. ვაჰანიანცის ადგილებზედ დასახლებულთ არავინ გამოესარჩლა. ვაჰანიანცის ადგილზედ დასახლებულთ 12 აგვისტოს ყველას ჩააბარა უწყებები სასამართლოს ბოქაულმა, ერთის თთვის ვადაზედ ვაჰანიანცს თავისი ადგილები დაუცალეთო.

⁂ გუშინ წინ, 18 აგვისტოს, საღამოს ასე ხუთ საათზედ, ვიღაც ავაზაკი თათრები დაეცნენ რკინის გზის ლიანდაგის დარაჯის ფარდულს სადგურ ევლახის მახლობლად. ფარდულში ამ ჟამად დარაჯის ცოლი იყო მარტოდ-მარტო. ავაზაკები რევოლვერით თავს დაადგნენ და უნდა გაეპატიურებინათ. ქალი გარედ გამოვარდა და თავს უშველა. ბოროტ-გამზრახველნი გაიქცნენ. ეს ამბავი დეპეშით ეუწყა პროკურორსა და გამომძიებელს.

⁂ ახალქალაქიდგან იუწყებიან, რომ ამავე მაზრის სოფელ ჯიგრაშენში ჩუტ-ყვავილა გაჩენილა და ერთის თთვის განმავლობაში ავად გამხდარა 47 ყმაწვილი. მათ შორის 7 გარდაიცვალა. ავადმყოფობის მოსასპობლად ყოველ-გვარი ღონისძიება იქმნა მიღებული. სადაც-კი ავადმყოფი იყო სახლებში, ყველგან დეზინფექცია მოახდინეს.

⁂ გუმბრიდგან იუწყებიან, რომ იქ 6 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ძლიერ დიდი სეტყვა მოსულა; სეტყვამ 15 წამს გასტანა, ყანები და ბოსტნები ძლიერ დააზარალა. ზოგიერთ ადგილას სეტყვა მეორე დღეს 2 საათამდე იდვა.

⁂ გუშინ წინ, 18 აგვისტოს, დიდუბის ეკკლესიის გალავანთან გაიმართა უფასო საჩაიე ღარიბ ხალხისთვის. ასეთივე საჩაიე მზად იქმნება ავლაბარშიაც 21 და 22 აგვისტოსთვის.

⁂ ს. ცხინვალი (გორის მაზრა): ის ავაზაკი, რომელმაც წერილებით გაგვიჭირა საქმე და რამდენისამე წლის „ნედოიმკებსა“ გვთხოვდა, 16 აგვისტოს გასთოკა აქაურმა ბოქაულმა სოფელ ხედაში, დ. სურამის საბოქაულოს მიჯნაზედ.

⁂ 18 აგვისტოს ძლიერის წვიმის გამო კვირაცხოვლის ქუჩაზე ნიაღვარი ჩავარდა ნაზაროვისა, პორფიროვისა და კაპანაძის სახლებში. ნიკოლოოზის მოედანზე ალექსანდრე მილოვისა და ყაზარალოვის სახლებში და ახალ არსენალის ქუჩაზე მელრინოვის სახლში. აგრედვე ნიაღვარი შევარდა იერუსალიმის ქუჩაჰე ტემიანცის მაღაზიის სარდაფში. ძლიერმა ქარმა ანანოვის ქარვასლას სახლის სართული მოჰგლიჯა და სიონის გალავანში ჩააგდო. პეტრე-პავლეს ხევში ნიაღვარმა ჩამოიტანა დამრჩვალი წვრილი და სხვილფეხი საქონელი, სულ 50 სული. ციციანოვის აღმართიდგან ბევრი ქვა ჩამოაგორა რიყის ქუჩაზე.

სასულიერო მთავრობის განკარგულებანი

მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, უწმიდესმა უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: ბ-ნ სინოდის ობერ-პროკურორის მიერ წარსულის მაისის 27-ს მე-398 №-რით წარმოდგენილი სამოსწავლო კომიტეტის ჟურნალი, № 132, კომიტეტის დასკვნითურთ იმის შესახებ, რომ სასულიერო სასწავლებლების უფროს კლასების რუსულისა და სლავიანურის ენის მასწავლებლებს ფულად საჩუქარი ეძლიოს. ჰბრძანეს: მიიღო რა მხედველობაში, რომ სასულიერო სასწავლებლებში რუსულის ენის მასწავლებლებს, სხვა მასწავლებლებთან შედარებით, გაკვეთილები ცოტა აქვთ და, მაშასადამე, თავისს შრომაში იმდენს სასყიდელსა და ჯამაგირს ვერ იღებენ, რამდენსაც ძველის ენებისა, გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლები, მოსწავლეთა ნამუშავარის კითხვისა და შესწორების მხრივ-კი უფრო მძიმე შრომა აქვთ, ვიდრე სხვა მასწავლებლებს, და რომ ეს გარემოებანი ბევრს გამოცდილს მასწავლებელს რუსულის ენისას, მეტადრე სახლობით დატვირთულს, იძულებულსა ჰყოფს სხვა საგნების მასწავლებლობას მოჰკიდოს ხელი, საზარალოდ სწავლის საქმისა და რუსულის ენის სწავლების რიგიანად წარმართვისა, რაც სამართლიანად სასულიერო სასწავლებლებში ერთ უმთავრეს სასწავლებელ საგნად უნდა ჩაითვალოს,—უწმიდესმა სინოდმა, სამოსწავლო კომიტეტის დასკვნის თანახმად, დაადგინა: ნება დაერთოს სასულიერო სასწავლებლების მმართველობათ, თუ დარჩეთ ფული სასწავლებლის ყოველ ხარჯიდგან, მასწავლებლებისათვის გადადებულ ხარჯს გარდა, უფროს კლასების რუსულის ენის მასწავლებლებს ფულად საჩუქარი დაუნიშნონ იმდენი, რამდენიც შესაძლებელი იქნება, ხოლო 150 მან. მეტი-კი არა წელიწადში თითოს. ამის შესახებ ჯეროვან განკარგულებათა გასაცემად საეპარქიო ყოვლად უსამღვდელოესობათ საყოველთაო ბრძანებანი დაეგზავნოთ. 1893 წლის ივნისის 21-სა დღესა.

მიტროპოლიტი სერგი

განსვენებულ მოსკოვის მიტროპოლიტის ლეონტის მოადგილედ დაინიშნა მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა სერგი, არქიეპისკოპოზი ხერსონისა და ოდესისა.

მიტროპოლიტი სერგი ოცდათოთხმეტის წლის განმავლობაში განაგებდა ოთხ ეპარქიას და შემდეგ ებოძა ეპისკოპოზობა კურსკში. 1879 წელს მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა დანიშნულ იქმნა ყაზანის კათედრაზედ არქიეპისკოპოზად. აქედამ მიწვეულ იქმნა პეტერბურგს უწმინდეს სინოდში. აქ თავმჯდომარედ იყო საგანგებო კომისიისა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ახალი წესდება სასულიერო აკადემიისა. მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ყველგან თავ-დადებული იყო თავის სამწყსოსათვის, ყველგან ხელ-გაშლით არიგებდა წყალობას და ეხმარებოდა ღარიბ-ღატაკებს. მის მოწყალებით დაარსდა ტულაში სამაგალითო სამრევლო სკოლა ღარიბთათვის. ამ სკოლის აშენება-მოწყობისათვის მისმა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ შესწირა 20,000 მან. ოდესაში ნება მისცა „ანდრიას ძმობას“, გამოეცა მისი თხზულებანი და სიტყვანი და შემოსავალი ამ „ძმობას,“ შესწირა. კურსკში მისმა-მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ დიდი ყურადღება მიაქცია ეკკლესიების განახლება-გამშვენებასა და აგრედვე აშენებას. მისმა-მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ ქ. კურსკში ააგო მშვენიერი ტაძარი ამაღლების სახელობაზედ. ამ ტაძარზედ 100,000 მანათზედ მეტია დახარჯული.

მისი მეუფება 1892 წ. დანიშნულ იქმნა ხერსონისა და ოდესის არქიეპისკოპოზად. აქ მის მეოხებით დაარსდა ემერიტურა, რომელიც თითქმის სანატრელადა და საოცნებოდ გამხდარიყო სამღვდელოებისათვის.

მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი სერგი, გვარად ნიკოლოოზ ივანეს ძე ლიაპიდევსკი, დაიბადა 8 მაისს 1820 წ. ქ. ტულაში. მისი მამა დეკანოზი იყო. პირველ-დაწყებითი სწავლა შინ მიიღო, მერე გაათავა ტულის სასულიერო სემინარია (1834—1840 წ.) და (1840—1844 წ.) და დაამთავრა აკადემია მაგისტრის დიპლომით. ამასთანავე აკადემიაშივე დასტოვეს ჯერ ბაკალავრად და შემდეგ (1847 წ.) პროფესორად სალვთისმეტყველო კათედრაზედ. კურსის გათავებისას ნ. ივ. ლიაპიდევსკი ღვდელ-მონაზონად აღიკვეცა 24 ივნისს 1844 წ. ახალგაზდა ბერ-ბაკალავრი მალე დანიშნეს (1848 წ.) სასულიერო აკადემიის ინსპექტორად და არხიმანდრიტობა უბოძეს. 1857 წ. დაინიშნა რექტორად ტულის აკადემიისა. 1859 წელს 3 დეკემბერს დანიშნულ იქმნა კურსკისა და ბელო-

---

წუნებული იყო აქამდე და მას იმდენად აქცევდნენ ყურადღებას, რამდენადაც დედინაცვალი მოძულებულს გერსა,—მაგრამ მაინც ასში ცამეტი მაინც და მაინც ასრულებდა კურსს, და არა ოთხი, როგორც კლასიკურის გიმნაზიისა; ამას გარდა ისინიც, ვინც კურს დაუსრულებელნი თავს ანებებდნენ ამ გვარს სასწავლებლებს, ბევრით უკეთესს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე დათხოვნილი კლასიკები; ამ უკანასკნელებმა არაფერი იცოდნენ, რადგანაც ენის ცოდნა თუ დამთავრებული არ არის, ცოდნას არ შეადგენს, მაშინ როდესაც ბუნებითი საგნების მცირეოდენის ნაწილის შეთვისებაც ცოდნაა თავისთავად. მესამედ, რეალურის სასწავლებლის კურსის დასრულებას უნდება ხუთიდან შვიდ წლამდე, მაშინ როდესაც კლასიკური გიმნაზია ითხოვს მთელს რვა წელიწადს. მეოთხედ, მხოლოდ რეალური სასწავლებელი აძლევს მოწაფეთა შესაბამს საზოგადო განათლებას სპეციალურ სამეურნეო სწავლისათვის. ხოლო ამ სწავლის მიუცილებელს საჭიროებას ჩვენთვის აღიარებენ ყველანი, სააზნაურო სკოლის კომიტეტიდგან დაწყებული უკანასკნელ აზნაურამდე. მართლაც, თუ საგანს ჩავუკვირდებით, ცოტაოდნად მაინც ცხადი შეიქმნება ჩვენთვის, რომ სამეურნეო ცოდნა—უპირველესი და უსაჭიროესი ცოდნაა ჩვენს მდგომარეობაში. ჩვენის ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ჩვენ-კი ძლიერ ღარიბნი ვართ. რადა? იმიტომ რომ მოვლა არ ვიცით ამ ბუნებისა. სხვებმა იციან ეს მოვლა, ერთი ათად მეტის გამორჩენის იმედი აქვთ, ფულს გვახარბებენ და ხელიდგან გვაცლიან მიწა-წყალს. ამ მოვლენას თუ ბოლო არ მოვუღეთ, იგი ჩვენ თვითონ აგვიგებს ანდერძს. წარმოვიდგინოთ, ბატონებო, რომ ჩვენმა ერმა დაჰკარგა ყველა საჩინოვნიკო, სამოხელეო ადგილები, ერთი ქართველი აღარ ურევია ქვეყნის მართვაში, მაგრამ მას ამავე დროს მტკიცედ უჭირავს ხელში თავისი მიწა-წყალი და მარჯვედ სარგებლობს. საშიში აქ არაფერია, დღეს დაკარგული სამოხელეო ადგილები ხვალ ადვილად შეიძლება ისევ დაიბრუნოს. მაგრამ თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, მის გაქრობა დედამიწის ზურგიდგან აუცილებელი გახდება, თუნდაც პირველს ხანებში მრავალი სამოხელეო ადგილი ეჭიროს ადმინისტრაციაში, სამართალში და ჯარში. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს—ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდგან ეცლება მიწა-წყალი.

საუკეთესო სწავლა მიწა-წყლის მარჯვედ მოხმარებისათვის, მისი მოვლისა და გამოყენებისათვის, მოსავლის გადიდებისათვის გახლავთ, როგორც უკვე მოგახსენეთ, რეალური სწავლა, დამთავრებული სამეურნეო სწავლითა. მხოლოდ საქმე ისაა, სად უნდა მოვძებნოთ მისაბაძი მაგალითი, ვისი გამოცდილებით უნდა ვისარგებლოთ. ზოგნი ევროპაზედ იშვერენ ხელსა და გვირჩევენ, იქ ვძებნოთ ნიმუში საუკეთესო სასწავლებლისა. მაგრამ აქ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: ევროპა პროგრესის გზაზედ ძლიერ ჩქარა მიდის, მეტად დაწინაურებულია, მას შორიახლო მისდევს რუსეთი და რუსეთის უკან კიდევ კუს ტაატით მიჩანჩალებს ჩვენი პატარა ქვეყანა. როგორ გადავახტეთ თავს ამ უზარ-მაზარს იმპერიასა და ამოვყოთ თავი შორეულს ევროპაში. ის არა სჯობიან, ჯერ უფრო მახლობლად ვეძებოთ, რის პოვნაც გვინდა, ჯერ რუსეთი გავჩხრიკოთ, იქნება აქ ამოჩნდეს სწორედ იმისთანა სასწავლებელი, რომელსაც ჩვენა ვნატრობთ...

დიაღ, სწორედ რუსეთში არსებობს კარგა ხანია სასწავლებელი, რომელიც სწორედ შეეფერება ჩვენს მდგომარეობასა, რასაკვირველია, საჭირო და შესაბამი ცვლილებითა.—ეს სასწავლებელი გახლავთ პერმის გუბერნიაში კრასნოუფიმსკის რეალური სასწავლებელი სამეურნეო კლასებითა. ამ სასწავლებელს წინად ჰქონდა ცხრა წლის კურსი, შვიდი წელი უნდებოდა საზოგადო კურსსა და ორი წელი სპეციალურსა. ჯდებოდა მთლად წელიწადში 30,000 მანეთი. ამ უკანასკნელს წლებში საზოგადო კურსი შეამოკლეს ორი წლითა და ამდენივე წლით გაადიდეს სპეციალური კურსი. ამ ჟამად კრა-

გოროდის ეპისკოპოზად და 1860 წ. 1 იანვარს განსვენებულმა მიტროპოლიტმა ფილარეტმა აკურთხა არქიელად კრემლის მიძინების სობოროში.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სამეგრელო. 16 აგვისტო. თითქმის ყოველ კუთხიდან იწერებიან თავიანთ ავ-კარგიანობაზე და სამეგრელოდან-კი არა, თითქოს აქ არაფერი არ იყოს. სრულიადაც არა. სამეგრელოშიაც ბევრი ამბები ხდება და არის კიდეც. მაგრამ ჩვენ ყველა იმის აღწერას ვერ შევუდგებით, და მოგახსენებთ მხოლოდ დღევანდელ შეწუხებას, რომლის გამოც ხალხი დიდს სასო-წარკვეთილებაშია ჩავარდნილი და აღარ იცის, თუ რით უშველოს თავსა.

ზამთარი იყო და ერთობ სუსხიანი, სასტიკი და მძლავრი. გაზაფხული ერთობ ხმელი, და დროზედ ჭირნახული ვერ იქმნა დათესილი, რის გამოც უმეტესი ნაწილი ყანებისა ზაფხულში დაითესა. მაგრამ, საუბედუროდ, აქაც ბედმა უმტყუნა მხვნელ-მთესველთ. ადგილ-ადგილ ყანები მოცდა და ამოსულ ჯეჯილის ღეროს კაცი სათითაოდ დასთვლიდა. ზოგიერთები ბუნებას გაუმკლავდნენ და ხელმეორედ დათესეს, მაგრამ ამინდმა არც ამათ შეუწყო ხელი. ასე და ამ გვარად, წელს ჭაპან-წყვეტით იქმნა ყანების დათესვა სამეგრელოში. ნაადრევი და ნაგვიანევიც ორივე ერთად იხრუკება დედამიწაზე, ხანგრძლივის გვალვებისაგამო. აგერ ორი თვე სრულდება, რაც აქეთ ცვარი წვიმი არ ჩამოვარდნილა, რის გამოც საშინელი სიცხე-პაპანაქებაა. გამუდმებულმა წვიმამ ისე დააზიანა ჭირნახული, რომ გულ-ქვავი კაციც ცრემლს გადმოჰყრის თვალთაგან ამ ნაირის სურათის ხილვით... გახმა მინდვრად ბალახი და ლამის საქონელი უსაჭმლობით დაიხოცოს... დაშრა მდინარე, ჭა და წყაროები... გაფუჭდა აგრეთვე „იზაბელას“ ვაზი, რომელსაც ბლომად ესხა, მაგრამ გვალვებმა გაანახევრა და რაც ასხია, უვარგისია. მარცვლები წვრილი აქვს და თითქმის ჯერჯერობით სიწითლეც არ ემჩნევა. ამ დროში ტბილი და მაჭარი გვინახავს. გაზაფხულის ხეხილის ნაყოფი უგემურია. ერთის სიტყვით, ვისაც სამეგრელოს უხვი მოსავალი უნახავს, ის დაგვეთანხმება, რომ წრევანდელი ჭირნახული სამწუხარო და გულ-საკლავ სურათს წარმოადგენს... უბედურება იქნება, თუ ამ მოკლე დროში წვიმა არ მოვიდა: არამც თუ ჯეჯილი გაფუჭდება, არამედ ადამიანსაც გაუჭირდება ცხოვრება... ასეთს გადაჭარბებულს გვალვებს, თურმე არ მოსწრებულან. ამის გამო ხალხი ცხარე ცრემლით სტირის და ღმერთს ევედრება წვიმა მოავლინოს... ხოლერის გაჩენამ ფოთში, დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო სამეგრელო. ეშინიანთ, ვაი-თუ ჩვენც გაგვკრას თავისი ბასრი მახვილიო. სხვაფრივ აქეთ მშვდობიანობაა. ციებ-ცხელება წელს იშვიათია...

ტ. კალანდა-შვილი

დ. ლანჩხუთი. 18 აგვისტო. ეს ის ლანჩხუთი გახლავთ, რომელსაც ამ ორის წლის წინად ბ-მა „კალამმა“ „ივერიაში“ ანდერძი აუგო, ამ წუთი-სოფელს გამოასალმა; „კალმის“ მიერ შესხმულ ქება-დიდებას ბ-ნი „უგვარო“ არ დასჯერდა და თავის მხრითაც ცეცხლს ნავთი დაასხა. ლანჩხუთელები დაფიქრდნენ... უკაცრავად-კი არ დაფიქრდენ, ადგნენ „ბრუნდი და მართალი“ და ყველანი „გაკუჭდნენ“ და, როგორც ვიცით, გადასწყვიტეს ორივესათვის ეცემათ, ან სტვენით გაეტარებინათ ბაზარში. ვერც ერთი ჰქმნეს და ვერც მეორე, არამედ უფრო პატიოსნურად, უფრო, კაცურად მოიქცნენ. როცა-კი დაფიქრდნენ: სიმართლე სთქვა და რას ვერჩით მადლობის მეტსაო, ნურც ვცემთ, და ნურც ვუსტვენთ, ისევ თავის გასწორებას შევუდგეთ, ისა სჯობსო.

მართლადაც და, შესამჩნევი წარმატება ეტყობა ლანჩხუთს ამ ორ-სამის წლის განმავალობაში (ერთი აქაური ბობოლაც მაგასვე ბრძანებს: У меня прогрессируетъ одинъ ланчхутъ-о). გადიჭიმა მრავლობით ქვიტკირის დუქნები, ააგეს მშვენიერი სახლი სოფლის კანცელარიად, დადგეს ზორბა სასოფლო სასიმინდე.

მაგრამ უფრო გასახარელია ახალი კოპწია პავილიონი, რომელიც აუშენებია პატივცემულ ბ-ნ შალიკო ცინცაძეს. ეს პავილიონი ეკკლესიის მახლობლად შუა-ბაზარში არის წამოსკუბული და ლანჩხუთის მკვიდრთ გონებრივ საზრდოს მიწოდებას უქადის თავის სამკითხველოთი და წიგნის მაღაზიით. ბ-ნ ცინცაძეს ორივეს ნება მიუღია და ამ ცოტა ხანში დაიწყებს კიდეც მოქმედებას. იმედია, ბევრი მკითხველი და მუშტარი ეყოლება. მარტო აქაურ დუქნის შეგირდები ეყოფა, თუ-კი ალები არ დაუშლიან კითხვას. რაკი ბიბლიოთეკა იქნება, აქაური აზნაურებიც ნარდის თამაშობის გარდა წიგნის კითხვისაც დაიწყებენ, იმათ მიბაძვენ მათნი ცოლნი და ასულნი, რომელნიც ეხლა მხოლოდ ჩონგურითა და „პასაჟირების“ ცქერით იქცევენ თავს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, ყველა სიხარულით შეაწევს თავის წვლილს ამ დიად საქმეს.

ბიბლიოთექის შემდეგ სასიხარულო არის ფოსტის დაარსება, რომელიც ციურ მანანასავით მოგვევლინა ამ ერთის თვის წინედ;

— რატომ წაიწყმიდეს სული, თუ-კი ასეთი ფოსტის მოთხოვნილება იყო, რატომ ამდენს ხანს არ დააარსესეს? მითხრა ბ-მა ფოსტის უფროსმა. იმანვე გადმომცა, თუ რამდენი რა ჟურნალ-გაზეთი მოდის ლანჩხუთში: „ივერია“ 10, „კვალი“ 4, „ჯეჯილი“ 4, „მწყემსი“ 7, Нов. Обозрѣніе 4, Кавказъ 1, Новости 1, Родина 1, Сѣверъ 1, Недѣля 1, Сенатскій Вѣстникъ 1, Задушевное Слово 1, Педагогическое Обозрѣніе 1, Церк. Вѣстникъ 4, Духов. Вѣст. 4 და სხვა.

როგორც ხედავთ, ლანჩხუთიც გონებრივ წარმატების გზას დაადგა და თავიდგან მოიშორა ბ-ნ „კალმის“ დაცინვა, რომელიც უსაყვედურებდა ლანჩხუთს, აი, თქვე ასეთ-ისეთებო, სად არის თქვენში სურვილი გონებრივის წარმატებისა, თქვენ სულ თქვენ ანგარიშებს შეუპყრიხართო. აი, ნიგოითში 4 „ივერია“ მოდის, თქვენში-კი მხოლოდ 2. უნდა უყუროთ, ფოსტის მოსვლის შემდეგ როგორ შემოეხვია მოვაჭრები გაზეთის მკითხველს და ყურს უგდებენ, ან შინ წასაკითხავად სთხოვენ. ბევრი მოვაჭრე აპირებს გამოწერას, ეხლა ვსცანით გემოო. არ იფიქროთ, ის ზემოთ ჩამოთვლილი გაზეთები ფოსტის მიზეზი იყოს და აქედგან სხვაგან იგზავნებოდეს. ორ ნომერ „ივერიას“ გარდა ყველა აქვე რჩება.

—

ორს დიდს მძიმე საქმეს ფიქრობს ლანჩხუთი (დაბაცა და სოფელიც) და არ ვიცი, როგორ წავა საქმე. პირველის შესახებ, როგორც მითხრეს, განაჩენიც შემდგარა. უკეთუ ლანჩხუთში გადმოიტანენ ჩოხატაურის სასამართლოს, ან ახლის ნებას მისცემენ, ლანჩხუთი აძლევს სახლს, ყველა მოწყობილობით. ეს იაფად არ დაუჯდება ლანჩხუთს, მაგრამ ისეთი სურვილი აქვთ, რომ არას დაზოგვენ. მეორის შესახებ-კი მხოლოდ ჯერ ხმა არის, მაგრამ, იმედია, ამ ხმას საქმიანი ლანჩხუთი საქმედ აქცევს მით უმეტეს, რომ ამ საქმეში ნიგოითიც შეეწევა. ეს საქმე გახლავთ ხევის წყალის გადმოყვანა მთელს ლანჩხუთზედ. ღმერთმა ქნას! ეს სახუმრო საქმე არ არის. უწყლობით მთელი ნიგოითი და ლანჩხუთი შეწუხებულია და, ეს თუ შეასრულეს, დიდ სასარგებლო და სასახელო საქმე იქნება.

ლანჩხუთივე აპირებს გალავანი შემოავლოს ტაძარს. რას არ ჰფიქრობენ ლანჩხუთელები,—ჩვენ მეათედიც არ ვიცით.

—

აბრეშუმის პარკს აქ სულ თითქმის უცხოელები ყიდულობენ, პეპელა დაუხოცველს; 12 მან-დე აძლევენ ფუთში. ამბობენ, ვითომც ხონში 20 მან. იყო. ერთმა მყიდველთაგანმა აქვე გაჰმართა ევროპიული აპარატი ორთქლით პეპლას დასახოცი. გვიკვირს, რატომ ერთი ვინმე ჩვენგანი არ ჰკიდებს ხელს, ან სამეურნეო საზოგადოებამ არ დაიწყო უფრო პირიანად პარკის ვაჭრობა და ჩარჩების ხელიდგან არ გვიხსნის.

—

კვირას, 22 აგვისტოს, ლანჩხუთში ადგილობრივ სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენა იქნება გამართული. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, თუ-კი ლანჩხუთს სხვაში ეტყობა წარმატება, ამ ქველ-მოქმედებაშიც დაეჩნდება და წარმოდგენას ვაჭრებიც ბლომად დაესწრობა. ღმერთო, შეეწიე ლანჩხუთსა და დააყენე წარმატების გზაზედა.

აპ—ნ ჭანკათელი

უცხოეთი

იტალიაში დღით-დღე ვრცელდება უწესოება. ხან ერთ ქალაქში დაეცემა აღელვებული ხალხი საფრანგეთის საელჩოს სასახლესა და ხან მეორე ქალაქში. აღელვებული ხალხი ყვირის და ფანჯრებს ამტვრევს. ამასთანავე ყველგან გაისმის გერმანიის საერო ჰიმნი. ადამიანს ეგონება, იტალია საფრანგეთთან საომრად ემზადებაო. მაგრამ საქმე-კი ასე არ არის. თვით იტალიის მთავრობას საფრანგეთთან ომი ფიქრადაც არ მოსვლია. ყველამ კარგად იცის, რომ იტალია თავის თავად ომს ვერ გამოუცხადებს საფრანგეთსა და სწორედ ამიტომ გაისმის იტალიაში გერმანიის ჰიმნი, რადგანაც ამით იტალიელები გერმანიის ზურგს უკან იმალებიან.

პირ-იქით იტალიის მთავრობას თითქოს სცხვენიან საფრანგეთისა და აცხადებს, საფრანგეთის მთავრობის საქციელმა სრულიად დაგვაკმაყოფილაო.

ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ ორთავე სახელმწიფოს მთავრობა ამ საქმეში ერთმანეთს მორიდებითა და თავაზიანად ექცევა.

ხოლო ერთი გარემოება არ ამტკიცებს იტალიის თავაზიანს ქცევას. ამბობენ, რომ იტალიის ტახტის მემკვიდრეს, ნეაპოლის პრინცს განზრახვა აქვს ელზას-ლორენში წავიდეს გერმანიის ჯარის ალლუმის დასათვალიერებლად. თუმცა ჯიოლიტის სამინისტრო-კი და იტალიის გაზეთებიც დიდად წინააღმდეგნი არიან ამ განზრახვისა.

საზოგადოდ-კი ამ ამბავს ევროპაში არავინ აქცევს დიდს ყურადღებას და ყველანი ამბობენ, რომ ეს მცირე უსიამოვნება საფრანგეთისა და იტალიის შორის ძლიერ მალე გაივლისო.

ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილია დაწვრილებული ცნობები საზოგადოებათა პალატის უკანასკნელ კრების შესახებ, რომელსაც გლადსტონმა წარუდგინა თავისი მოხსენება, რომ ბილლის შესახებ კამათობა მოისპოსო. პრემიერ მინისტრმა სთქვა, ასეთი განკარგულება ახალი არ იქმნება, რადგანაც ასეთივე რეზოლიუცია კამათობის მოსპობაზე მიღებულ იქმნა პარლამენტის მიერ 1887 წელსაო. ამას გლადსტონმა დასძინა, რომ თუ ჩემი რეზოლიუცია მიღებულ იქმნა, ირლანდიის ბილლის გამო კამათობა 79 დღეს გასტანს და ეს დრო ერთი-ორად მეტია, ვიდრე პალატას მოუნდომებია რომელსამე ბილლის განხილვისთვის. გარდა ამისა, ხსენებულ ლეზოლიუციის მიღება მით უფრო სავალდებულოა, სთქვა

სნოუფიმსკში არსებობს რეალური სასწავლებელი ექვსის წლის კურსითა და სამეურნეო სასწავლებელი ოთხის წლის კურსით. ეს სამეურნეო სასწავლებელი განცალკავებულია და აქვს ვრცელი ფერმა ყოველ-გვარი მოწყობილობითა. მასში შესასვლელად საჭირო არ არის მთელი რეალური სასწავლებლის შესრულება; საქმე ისეა მოწყობილი, რომ ვისაც სამეურნეო გზის არჩევა სურს, ის მეხუთიდგანვე გადადის სპეციალურს სასწავლებელში და ვისაც არა, ასრულებს რეალურს სასწავლებელსა და გამოდის ატესტატითა...

გარნა მოგეხსენებათ, რომ ხე ნაყოფით იცნობებაო. ჩვენც სწორედ ამ ნაყოფს უნდა მივმართოთ. რა სამსახური გაუწია კრასნოუფიმსკის რეალურმა სასწავლებელმა პერმის გუბერნიის მცხოვრებთა, რა ეკონომიური ცვლილება, გაუკეთესობა მოახდინა გუბერნიის ყოფა-ცხოვრებაში? ისეთი ძირითადი და სანატრელი ცვლილება მოჰყვა ამ სასწავლებელსა, რომ ძნელად დაიჯერებს ის, ვინც დაახლოებით არ გაიცნობს საქმესა. წინად პერმის გუბერნია ერთი ულარიბესი კუთხე იყო რუსეთის იმპერიაში, ეხლა-კი შეძლებულს გუბერნიათა დასს ეკუთვნის. წინად ამ გუბერნიის მიწამ იცოდა ძლიერ მცირედი მოსავალი, ახლა-კი მოჰყავს ერთი ორად და სამად მეტი. და ასეც უნდა მომხდარიყო. ხსენებული სასწავლებელი, თავისი ფართო და მშვენივრად მოწყობილი ფერმით, გარდიქცა დიდ კერად სამეურნეო სწავლისა, სადაც მოწაფეთა გარდა, ხნიერნი მცხოვრებნი გუბერნიისა პრაქტიკულად, თვალ-საჩინოდ სწავლობდნენ საუკეთესო მოვლას მიწისას და გაიცნობდნენ ახალ იარაღებს ხვნა-თესვისასა. ამ იარაღებს ჯერედ ფერმა იბარებდა ევროპიდგან; მაგრამ რადგან ძლიერ ძვირად ჯდებოდა, თვითონვე დაიწყო გაკეთება. მხნელ-მთესველნი მოდიოდნენ, უცქერდნენ ამ იარაღების მზადებასა, სწავლობდნენ და შემდეგში თვითონ ადგილობრივ იწყეს მათი კეთება, რამაც ერთი ხუთად და ათად გააიაფა ახალ სისტემის იარაღები. მეტადრე დიდი სამსახური გაუწია გუბერნიას ერთმა სრულიად ახალმა თანამდებობამ, რომელიც გუბერნიაში შემოღებულ იქმნა ამ სასწავლებლის თაოსნობით. დააწესეს თანამდებობანი სააგრონომიო ზედამხედველობისა, რომლებზედაც იწყეს გამწესება ამ სასწავლებელში კურს შესრულებულებისა. თითო მაზრას სათითაო ზედამხედველი გაუმწესეს. ეს ზედამხედველნი იყვნენ და არიან ნამდვილი სახალხო პროფესორები მეურნეობისა. დადიან სოფლითი სოფლად და ასწავლიან ხალხს, თუ როგორ უნდა ჰხნას მიწა, რომელს მიწაზედ რა მცენარე დასთესოს, როგორ მოუაროს, როგორ აკეთოს ახალი სამეურნეო იარაღები, თუ რაიმე მტერი გაუჩნდა მოსავალსა, ხელმძღვანელობას უწევენ, რა გზით და რა ღონისძიებით უნდა გაიყლიტოს ეს მტერი და სხვანი და სხვანი. ერთი სიტყვით ეს ზედამხედველები არიან სანიტარები და ექიმები მეურნეობისა. მათ ისეთი ცოდნა გამოიჩინეს, ისეთი დიდი სიკეთე დასთესეს, ისეთი სახელი გაითქვეს, რომ სხვა ქვეყნებშიაც იბარებენ კრასნოუფიმსკიდგან სააგრონომიო ზედამხედველებსა, მაგალითად ბესარაბიაში.

აი სწორედ ამისთანა ზედამხედველები ეჭირვება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მეურნეობას. იგინი ჯეროვანს სიმაღლემდე აიყვანენ მამულის მოვლის ხელობას, ასწავლიან ერს მდიდარ ბუნებიდგან ყოველ წლივ მიიღოს არა ღატაკი მოსავალი, არამედ უხვი და დოვლათს დაატრიალებენ ჩვენს ღარიბს ქვეყანაში. დიდი მამულის პატრონები ამ განვითარებულს ზედამხედველებში ჰპოვებენ მოურავებს, რომელნიც ერთი სამად და ოთხად აქცევენ წლიურს შემოსავალსა, მაშასადამე, ჩვენ უნდა დავაარსოთ სწორედ ისეთი სასწავლებელი, როგორიც არის კრასნოუფიმსკში. თუ ამ გზას აღვიარებთ საუკეთესო გზად და მტკიცედ დავადგებით ახლამდელს მოსამზადებელს კლასებს, უნდა ზედ მოვაბათ თბილისში არა კლასიკური პროგიმნაზია, არამედ ხუთ-კლასიანი რეალური სასწავლებელი და ცალკე სოფლად, რომელსამე დიდს მამულში, გავხსნათ ოთხ-კლასიანი სამეურნეო სასწავლებელი.

იაკობ გოგებაშვილი

(დასასრული იქნება)

გლადსტონმა, რომ თუმცა ირლანდიის ბილლს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სხვა არა ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეების განხილვა მოგველისო. გლადსტონის შემდეგ ილაპარაკა ჩემბერლენმა, და სთქვა, გლადსტონის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია უსამართლო იქნება, რადგანაც მაშინ საზოგადოებათა პალატა გადაიქცევა მხოლოდ ხმების მოკრების მანქანად. ამას ჩემბერლენმა დასძინა პიტტის სიტყვებ: „აუცილებელი საჭიროება მტარვალთა საბუთი არისო“. სწორედ ასეთივე საბუთია ის აუცილებელი საჭიროება, რომელზედაც გვითითებს გლადსტონი. საქმე ის არის, რომ მთელ პალატაში, მგონია, არავისა სწამს ჰომრულის ბილლის სარგებლობა, თვით გლადსტონის გარდა. არც თუ ერი მიეგება ამ ბილლს დიდის სიხარულითა.

ჩემბერლენის შემდეგ ილაპარაკა ბალფურმა და ამტკიცებდა, რომ ჰომრული ერთი ბილლი-კი არ არის, მრავალ ბილლს შეადგენს და ამიტომ მის განხილვას უფრო დიდი დრო უნდა მოვანდომოთო.

პალატამ ხმის უმეტესობით შეიწყნარა გლადსტონის რეზოლიუცია.

წვრილი ამბავი

ცნობილ სტატისტიკს კერტის მოჰყავს ცნობანი იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოს რამდენ მილიონის გირვანქა სტერლინგის შეძლება აქვს და თითო სულს რამდენი გირვანქა შეხვდება. ეს ფრიად საინტერესო ცნობანი მოგვყავს ჩვენც:

	რამდენი მილიონი გირვანქა სტერლინგია	თითო სულზედ რამდენი გირვანქა მოდის
ინგლისი .	10,000	270
ჰოლანდია .	987	240
შეერთებული შტატები .	13,750	219
საფრანგეთი	8,060	218
დანია . .	366	198
შვეცია . .	977	152
ბელგია . .	806	145
გერმანია .	6,323	140
საბერძნეთი.	211	107
ავსტრო-ვენგრია . .	3,613	95
ისპანია . .	1,593	93
პორტუგალია . .	371	86
იტალია .	2,351	82
რუსეთი .	4,343	553

ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ ყველაზედ შეძლებული და მდიდარი მხარე ყოფილა ინგლისი, ჰოლანდია და შეერთებული შტატები, ხოლო ყველაზედ ღარიბი—რუსეთი.

— მეტეოროლოგების გამოკვლევით, რომელიც 462 წლიდგან იწყება, სჩანს, რომ თითქმის ყოველ საუკუნეში ორჯერ-სამჯერ მაინც განმეორდება ხოლმე მეტად ცივი, მძაფრი ზამთარი. XIV საუკუნეში ხუთჯერ ყოფილა ასეთი სუსხიანი ზამთარი. XV და XVI საუკუნეებშიაც ხუთ-ხუთჯერ; ხოლო XVII საუკუნეში-კი რვაჯერ. 1709 წელს იყო საშინელი ცივი და ხმელი ზამთარი. პარიჟში ტერმომეტრი 19° სიცივეს აჩვენებდა. 1788—1789 წელს იყო ყველაზედ სუსხიანი ზამთარი მთელს ევროპაში. პარიჟი მოყინული იყო სრული 53 დღე და 86 დღის განმავლობაში ტერმომეტრი სულ სიცივეს აჩვენებდა. ეს ყინვები ნოემბერშივე დაიწყო და დეკემბერში უკვე 22° სიცივე იყო. სარდაფებში ღვინო გაიყინა, მდინარე სენა 51 დღე თითქმის ძირამდე გაყინული იყო. ლონდონში შობა დღეს მდ. ტემზაზედ გაიმართა ბაზრობა, იქამდე იყო გაყინული, რომ ზედ აუარებელი ხალხი დადიოდა. საფრანგეთის ნაპირებზედ ზღვა გაიყინა. ძლიერ მკაცრი ზამთარი 1812 წელსაც იყო რუსეთში, როდესაც ნაპოლეონმა რუსეთზედ გამოილაშქრა. 1829—1830 წ. ისეთი ყინვიანი ზამთარი იყო, რომ მდ. რეინიც-კი, რომელიც დაქანებულად და სწრაფად მომდინარეობს, გაიყინა. ამ წელს საფრანგეთში მდ. სენაც გაყინული იყო. ამ ყინვებმა ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. მეცნიერნი იმ აზრს ადგანან, რომ დედამიწა თანდათან ცივდება და მოვა დრო, როდესაც ეს ჩვენი ტურფა ქვეყანაც დაჰკარგავს სიცოცხლეს, და მთლად გაიყინებაო:

ხოლო მანამდე კარგა ხანი გაივლის.

მონსურის ობსერვატორიაში შეკრებილია ცნობანი დედამიწის ტემპერატურისა და იქიდგან სჩანს, რომ მთელ საუკუნის განმავლობაში ისე არ იცვლება დედამიწის ტემპერატურა, რომ შესამჩნევი იყოსო.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ უმორჩილესად, თქვენს პატივცემულს გაზეთში მოაქციოთ ეს წერილი. მე გამოვიგონე პურის სალეწი, სანიავებელი და ბზის მაკეთებელი მანქანა, ხელით სატრიალებელი, ადვილი სახმარი და მასთან არა ძვირად ღირებული და ყველასთვის ადვილად შესაძენი. ეს მანქანა გააკეთებს იმისთანა კარგს ბზეს, როგორსაც აკეთებენ კალოებზე კევრით. მე ვფიქრობ, რომ ყველასთვის სასურველი იქნება ამ მანქანის შეძენა, ვინაიდგან ერთი ათად მეტს გააკეთებს გლეხი. ოთხი ადამიანი გააკეთებს იმდონ საქმეს ერთ საათში, რამდონსაც გააკეთებენ დღეში ექვსი ადამიანი ორის უღლის ხარით, ასე რომ გლეხს თითქმის ერთის კვირის სალეწი შეუძლია ერთ დღეს გალეწოს; ამასთანავე არ შეჰყვება ბზესა და ხორბალს მიწა და ნაგავი

ამ მანქანასთვის ამინდიც საჭირო არ არის, საბძელშიაც ადვილად მოთავსდება და იქვე კარგად გალეწავს

— მე მსურს ამ მანქანისთვის პრივილეგია ავიღო და ამასთანავე ვეძებ ამხანაგს, რომელსაც საჭირო ფული ჰქონდეს, რომ მანქანა გავკეთოთ და ვყიდოთ. ვისაც ჩემთან ამხანაგობა შეუძლიან მომმართოს ქ. ქუთაისს.

ივანე სტეფანეს ძე მამაჯანოვი

1893 წელს 17 აგვისტოს
ქ. ქუთაისი.

დეპეშა

18 აგვისტო

პიტერბურგი, გამოცხადებულია წესდება მემამულეთა ამხანაგობისა, რომელთაც აზრადა აქვთ სამეურნეო ნაწარმოებით ივაჭრონ რუსეთში და გზავნონ საზღვარ გარედაც.

სტოკჰოლმი. გუშინ მობრძანდნენ დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე და შვეციის მემკვიდრე პრინცითურთ გაემგზავრნენ ციხე-სიმაგრე ტულგანში, სადაც რავდენსამე დღეს დარჩებიან.

პარიჟი. კუნძული კორსიკა თხოულობს აქ დააწესეთ სანავოსნო სადგური და სურსათი აქედგან ეძლიოს რუსეთის ესკადრას, ხმელთა შუა ზღვაში მოსიარულესაო.

19 აგვისტო

შვერინი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ კოპენჰაგენს გაემგზავრნენ.

ბერლინი. ფრანკფურტისა და ოფენბახის ტყავის ქარხნების პატრონებმა და სხვა მწარმოებელთ მიჰმართეს კანცლერსა და სთხოვეს, რომ კონფერენციის ბჭობა შესახებ რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობისა 1 ოქტომბრამდე დაიწყოს და მოთანხმებაც რაც შეიძლება მალე მოხდესო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აგვისტო

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,79	7,82	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	155½	156½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	238
—მეორისა	— ,,	— ,,	222
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	192¼	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	101	— ,,
5%	— ,,	100	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	101	— ,,
5%.	— ,,	100	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	98¾

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—93)

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.
გორში არსენ კალანდაძესთან.
ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში ბ. კალანდაძესთან.
განჯაში დ. ქლივიძესთან.

ქრისტინე
მოთხრობა
ე. ნინოშვილისა
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ
ფასი ერთი აბაზი

გამოსადეგი ცნობანი
პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—თავში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა

ოქროსი

ძღ. თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—41) ალ. თუთაევი

НАСТОЯЩЕЕ БЕНЗОЕВОЕ МЫЛО
ДРА ЛЕНГИЛЯ
въ ВѢНѢ
для БѢЛИЗНЫ, СМЯГЧЕНІЯ
и ЧИСТОТЫ
КОЖИ, ЛИЦА
и РУКЪ
Придаетъ Кожѣ Свѣжій Видъ,
рекомендуется какъ
Хорошее Туалетное Мыло
НАСТОЯЩЕЕ ТОЛЬКО ЗА ПОДПИСЬЮ
ЕДИНСТВЕННАГО АГЕНТА
ВАСИЛІЯ АУРИХЪ въ С.ПБУРГѢ.
ДЛЯ РОССІИ.

სასაპარელო ესსენცია კოლბერისა
(Essence de Salsepareille Colbert)
საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად
იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი
რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Августа 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე